



### გიწვევთ მრავალფეროვნების სკოლაში!

- გინდა, იყო აქტიური?
- გასურს პიროვნული წინსვლა?
- გაინტერესებს შეცვალო გარემო იქ, სადაც შენ ცხოვრობ?

მაშინ, შემოგვიერთდი მრავალფეროვნების სკოლაში და ჩაერთე აქტიურობის თავგადასავლებში.

### ბოლო ვადა: 20 მარტი, 2017

მრავალფეროვნების სკოლა არის არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც ორგანიზაცია „ირის ჯგუფი - მრავალფეროვნების მართვა“ ახორციელებს. პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას.

მრავალფეროვნების სკოლა მხარს უჭერს საზოგადოების მრავალფეროვანი წევრების ერთმანეთთან დაკავშირებას, ხელს უწყობს მათი ინდივიდუალიზმისა და უნიკალობის წარმოჩენასა და რეალიზებას. პროგრამა საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, განსხვავებული კუთხიდან დაინახონ მრავალფეროვნების ძლიერი მხარეები და მიღებული ცოდნა და გამოცდილება სასიკეთოდ გამოიყენონ როგორც პირად, ისე აქტიურ სამოქალაქო ცხოვრებაში. გვჯერა, რომ სწორედ მრავალფეროვანი საზოგადოება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს და მისი შენარჩუნება, ხელშეწყობა და განვითარება არის ჩვენი პროგრამის მისია და პასუხისმგებლობა.

მრავალფეროვნების სკოლა კვალიფიკაციის ამაღლებასა და საკუთარი საპროექტო იდეების განხორციელებას სთავაზობს ახალგაზრდებს. ეს არის პროგრამა იმ ახალგაზრდებისთვის, ვისაც სურს, უნარ-ჩვევების განვითარება, საკუთარი იდეების განხორციელება, აინტერესებს სამოქალაქო აქტივიზმი და რეგიონების განვითარება.

თუ ხარ 18-დან 24 წლამდე, გინდა იყო აქტიური, გასურს პიროვნული წინსვლა, გაინტერესებს მრავალფეროვნების საკითხები და სამოქალაქო აქტივიზმი, მაშინ გაქვს შესაძლებლობა, ჩვენი სკოლის ფარგლებში

- საფუძვლიანად შეისწავლო მრავალფეროვნების საკითხები
- განივითარო უნარ-ჩვევები პროექტის მართვასა და დაგეგმვაში
- განახორციელო საკუთარი მოხალისეობრივი პროექტი

- შეხვედრე საინტერესო ადამიანებს

### პროგრამის განრიგი

პროგრამის აქტოვებები სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება. თოთოეული მონაწილე ესწრება სამ სხვადასხვა სემინარს მაისში, ივლისსა და ნოემბერში. ამასთანავე, ახორციელებს საკუთარ მცირე-მასშტაბიან პროექტს საქართველოს რომელიმე რეგიონში აგვისტო-სექტემბრის თვის განმავლობაში.

- საგაზაფხულო სესია: 6-14 მაისი, 2017 (ჯგუფი I), 20-28 მაისი, 2017 (ჯგუფი II)
- საპროექტო შეხვედრა: 22 - 28 ივლისი, 2017
- პროექტის განხორციელება: 1 აგვისტო – 1 ოქტომბერი, 2017
- მრავალფეროვნების ფორუმი: 20 - 26 ნოემბერი, 2017

### ხარჯები:

პროგრამა ფარავს მონაწილის კვების, საცხოვრებლისა და მგზავრობის ხარჯებს.

განაცხადის შემოტანა შეგიძლიათ **2017 წლის 20 მარტამდე**.

აპლიკაციის შესავსებად ეწვიეთ ვებსაიტს: [www.diversityschool.net](http://www.diversityschool.net)

### კონტაქტი:

ირის ჯგუფი - მრავალფეროვნების მართვა  
გვანცა აქიაშვილი  
პროგრამის კოორდინატორი  
ელ.ფოსტა: [applications@diversityschool.net](mailto:applications@diversityschool.net)  
ტელ: +995 32 2945225



**MitOst**

**Theodor  
Heuss  
Kolleg**